საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *სალომე სამხარაძის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	22	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	25	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	20	20
პროფესიული თვისებები	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	9	10
პროფესიული აქტივობა	4	5
ქულათა ჯამი	95	100

სახელი, გვარი: ლევან გზირიშვილი

თარიღი : 27.05.2021 წ.

სალომე სამხარაძე

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით			კომენტარი
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐		კანდიდატი არის პატიოსანი, კორექტული და თავდაჭერილი. ის პასუხისმგებლობით ეკიდება მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს, მათ შორის ჯეროვნად ასრულებს ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს. ამასთან, ბოლო სამი წლის განმავლობაში კანდიდატს არ დაჰკისრებია ადმინისტრაციული სახდელი. მნიშვნელოვანია კანდიდატის კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია კოლეგებს შორის. კანდიდატის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა. ის არის მიუკერძოებელი პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით.
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐		
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒		
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	**22**	**25**	კანდიდატი კარგად ფლობს სამოქალაქო სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. ამასთან, კანდიდატი ფლობს ცოდნას ადამიანის უფლებებისა და

			ძირითადი თავისუფლებების მიმართულებით.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	25	25	კანდიდატს აქვს დაახლოებით 10-წლიანი პროფესიული გამოცდილება. მას აქვს ანალიტიკური აზროვნების კარგი უნარი. კანდიდატის სამართლებრივი ნაშრომი, სტატია, არის გასაგები ენით დაწერილი, აზრი გამოხატულია მკაფიოდ და ლოგიკური თანმიმდევრობით. ამასთან, კანდიდატის მიერ სტატიის მიზნებისათვის სხვადასხვა წყაროს დამუშავება უთითებს მის კვლევით უნარებზე.
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	20	20	კანდიდატი თავის მოსაზრებებს აფიქსირებს დამაჯერებლად, თანმიმდევრულად, ამასთან მარტივი და გასაგები ენით, როგორც წერილობით, ისე ზეპირად. მას აქვს ლოგიკური მსჯელობის უნარი. აღსანიშნავია, რომ კანდიდატმა გამოავლინა განსხვავებული აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი. მას შესწევს უნარი დაიცვას თავისი მოსაზრებები და პოზიცია, ამავდროულად შეინარჩუნოს კორექტულობა და თავშეკავებულობა.
პროფესიული თვისებები	15	15	კანდიდატი არის პუნქტუალური და შორმისმოყვარე. მას გააჩნია დამოუკიდებლად აზროვნებისა და გადაწყვეტილებების მიღების უნარი.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	9	10	კანდიდატი ღია არის სიახლეების მიმართ, ამასთან მას გააჩნია თვითგანვითარების უნარი. გამოვლინდა, რომ ის აქტიურად ეცნობა საკანონმდებლო სიახლეებსა და სასამართლო პრაქტიკას თავისი სპეციალიზაციის ფარგლებში. კანდიდატი არის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამის მონაწილე.
პროფესიული აქტივობა	4	5	კანდიდატი არ ეწევა სამეცნიერო თუ აკადემიურ საქმიანობას, თუმცა, ის არის სამართლებრივი სტატიის ავტორი. კანდიდატი ესწრება პროფესიულ ტრენინგებს.
ქულათა ჯამი	95	100	

დასაბუთება			საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებას საფუძვლად უდევს გასაუბრება და მის შესახებ მოძიებული ინფორმაცია, რომელიც მოიცავს სხვადასხვა უწყებიდან გამოთხოვილ და თავად კანდიდატის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, მისი რეკომენდატორებისა და გამოკითხული რესპოდენტების (კანდიდატის კოლეგების) მიერ შევსებულ კითხვარებსა და რეკომენდაციებს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 35[1]-ე და 36[3] მუხლების შესაბამისად ფასდება კანდიდატის კეთილსინდისიერება და კომპეტენტურობა. **<u>კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით</u>** მოსამართლეობის კანდიდატის, სალომე სამხარაძის, შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები: • *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;* • *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;* • *პიროვნული და პროფესიული ქცევა;* • *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;* • *ფინანსური ვალდებულება.* **<u>პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი</u>** მოძიებული ინფორმაციის შედეგად დადგინდა, რომ სალომე სამხარაძეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. ის სათანადო პასუხისმგებლობით ასრულებს თავის ფინანსურ ვალდებულებებს, კერძოდ, მას უფიქსირდება მიმდინარე ვადაგადაცილებული ფინანსური ვალდებულებები. კანდიდატი რეგისტრირებული არ არის მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში. კანდიდატს 2017-2020 წლებში არ დაჰკისრებია ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელი. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლებელია ითქვას, რომ კანდიდატს შესაბამისად აქვს შეგნებული და სათანადო პასუხისმგებლობით, გულმოდგინებითა და

	კეთილსინდისიერებით ასრულებს თავის მოვალეობებს. **<u>დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა</u>** კანდიდატის პატიოსნებას, პრინციპულობას, კეთილსინდისიერებასა და პასუხისმგებლობის გრძნობას დადებითად აფასებენ მისი რეკომენდატორები და გამოკითხული კოლეგები. კანდიდატს შესწევს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. მოძიებული ინფორმაციის თანახმად კანდიდატი არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, შემომწირველი ანდა მხარდამჭერი. ამასთან, გასაუბრების შედეგად კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის შეუწყნარებლობა ან ტენდენციური დამოკიდებულება ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ. შესაბამისად, კანდიდატი არის მიუკერძოებელი პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით. **<u>პიროვნული და პროფესიული ქცევა</u>** გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატმა გამოავლინა თავშეკავებულობა, კორექტულობა. ის თავის მოსაზრებებს აფიქსრიებდა ღიად და გამჭვირვალედ. ამასთან, კანდიდატმა გამოავლინა ემოციების მართვის კარგი უნარი. მის კორექტულობას, კომუნიკაბელურობასა და თავშეკავებულობას დადებითად აფასებენ კანდიდატის რეკომენდატორები და გამოკითხული კოლეგები. მოძიებული ინფორმაციის თანახმად კანდიდატის მიმართ სისხლისსამართლებრივი ბრალდება არ დაფიქსირებულა, ამასთან ის არ წარმოდგენილა მხარედ ან დაზარალებულად. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად კანდიდატის მიმართ დისციპლინური დევნა ანდა ადმინისტრაციული წარმოება არ დაწყებულა. **<u>ფინანსური ვალდებულება</u>** როგორც უკვე აღინიშნა, სალომე სამხარაძე კეთილსინდისიერად, ჯეროვნად და სათანადო პასუხისმგებლობით ასრულებს თავის ფინანსურ ვალდებულებებს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატი სალომე სამხარაძე <u>სრულად აკმაყოფილებს საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს.</u>

<u>კომპეტენტურობის კრიტერიუმების</u> მახასიათებლებით სალომე სამხარაძის შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები:

- *სამართლის ნორმების ცოდნა;*
- *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;*
- *წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი;*
- *პროფესიული თვისებები;*
- *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;*
- *პროფესიული აქტივობა.*

<u>სამართლის ნორმების ცოდნა</u>

გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ კანდიდატი კარგად ფლობს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. ამასთან, კანდიდატმა გამოავლინა, რომ ის საკმაოდ აქტიურად ეცნობა საქართველოს საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების პრაქტიკას ზემოაღნიშნული სპეციალიზაციის ფარგლებში.

გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატს დაესვა არაერთი სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის შეკითხვა. ის ცდილობდა ამომწურავად და დასაბუთებულად ემსჯელა თითოეულ საკითხზე. უმეტეს შემთხვევაში მისი მსჯელობა იყო დამაჯერებელი და დასაბუთებული. თუმცა, გამოვლინდა საკითხები, რომელთა სრულად ამოწურვა და თავისი მოსაზრებების შესაბამისი სამართლებრივი დასაბუთება კანდიდატს გაუჭირდა. მაგალითისათვის, მართალია, კანდიდატმა გამოავლინა, რომ იცნობს სამოსამართლო ეთიკის საკითხებსა და შესაბამის აქტებს, თუმცა, აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას ის ვერ ჩაუღრმავდა ზოგიერთ მახასიათებელს. ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ სამოსამართლო ეთიკის საკითხების მიმოხილვისას გამოვლინდა, რომ მას კარგად აქვს გააზრებული მოსამართლის როლი და მისი პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე.

გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატმა გამოავლინა, რომ აქტიურად ეცნობა საკანონმდებლო სიახლეებს, მან ამომწურავად იმსჯელა ბავშვის უფლებათა კოდექსთან დაკავშირებულ საკითხებზე.

გასაუბრების მსვლელობისას, ასევე გამოვლინდა, რომ კანდიდატს აქვს ზოგადი ცოდნა სისხლის სამართლის სფეროში, ვინაიდან, მას გაუჭირდა გარკვეული

ქმედებებისთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მიცემა. თუმცა, აღნიშნული სფერო არ წარმოადგენს მის სპეციალიზაციას.

საბოლოო ჯამში, კანდიდატისათვის დასმული სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის შეკითხვებზე მსჯელობის შედეგად მან დამაკმაყოფილებლად ამოწურა კითხვათა საერთო რაოდენობის დაახლოებით 74%.

<u>სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია</u>

სალომე სამხარაძეს აქვს თითქმის 10-წლიანი პროფესიული გამოცდილება, რომელიც სრულად მოიცავს სასამართლო სისტემაში მის მუშაობას. შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატმა მეტნაკლებად მოახერხა თავისი გამოცდილებისა და დაგროვებული ცოდნის წარმოჩენა. თუმცა, უნდა დაკონკრეტდეს, რომ მან გამოავლინა უფრო მეტად თეორიული ცოდნა, ვიდრე პრაქტიკული გამოცდილება.

კანდიდატის სამართლებრივი ნაშრომის, სტატიის გაცნობის შედეგად უნდა აღინიშნოს, რომ ის თავის მოსაზრებებს აფიქსირებს გასაგები ენით, დასაბუთებულად და დამაჯერებლად. ნაშრომში აზრი გამოხატულია მკაფიოდ და ლოგიკური თანმიმდევრობით. ამასთან, თავის სტატიაში კანდიდატს აქვს გამოყენებული სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა და იურიდიული ლიტერატურა, რაც მეტყველებს მის კვლევით და საკითხის ღრმა ანალიზის უნარებზე.

<u>წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი</u>

კანდიდატი თავის მოსაზრებებს აფიქსირებს დამაჯერებლად, თანმიმდევრულად, ამასთან მარტივი და გასაგები ენით, როგორც წერილობით, ისე ზეპირად. მას აქვს ლოგიკური მსჯელობის უნარი. აღსანიშნავია, რომ კანდიდატმა გამოავლინა განსხვავებული აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი. კანდიდატს შესწევს უნარი დაიცვას თავისი მოსაზრებები და პოზიცია, ამავდროულად შეინარჩუნოს კორექტულობა და თავშეკავებულობა.

<u>პროფესიული თვისებები</u>

კანდიდატი არის პუნქტუალური და შორმისმოყვარე. მას გააჩნია დამოუკიდებლად აზროვნებისა და გადაწყვეტილებების მიღების უნარი. ასევე, მას აქვს ანალიტიკური აზროვნების კარგი უნარი.

<u>აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა</u>

	კანდიდატი ღია არის სიახლეების მიმართ, ამასთან მას გააჩნია თვითგანვითარების უნარი. გამოვლინდა, რომ ის აქტიურად ეცნობა საკანონმდებლო სიახლეებსა და სასამართლო პრაქტიკას თავისი სპეციალიზაციის ფარგლებში. კანდიდატმა წარმატებით გაიარა იუსტიციის უმაღლესი სკოლის სასწავლო კურსი. მას გავლილი აქვს სტაჟირება უზენაეს სასამართლოში, მას ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სპეციალიზაციით. ასევე, კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო-ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით. სალომე სამხარაძე არის ევროპის საბჭოს მიერ ჩატარებული კონკურსის ფარგლებში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამის მონაწილე. **<u>პროფესიული აქტივობა</u>** კანდიდატი არ ეწევა სამეცნიერო თუ აკადემიურ საქმიანობას, თუმცა, ის არის სამართლებრივი სტატიის ავტორი. კანდიდატი ესწრება პროფესიულ ტრენინგებს, მონაწილეობა აქვს მიღებული სასამართლო ადმინისტრირების და მენეჯმენტის რეფორმის პროექტის მიერ ჩატარებულ სასამართლო მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევაში.

სახელი და გვარი: ლევან გზირიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 27.05.2021 წ.